იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ქალაქ ლაგოდეხის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის გახსნის ცერემონია

2017 წლის 2 მაისს, ქალაქ ლაგოდეხში გაიმართა N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ლაგოდეხის მინიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსი, ბატონი კარლო ჯამბურია, საქრთველოს პარლამენტის წევრი, ბატონი გურამ მაჭარაშვილი და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის მიერ. კაპიტალურად გარემონტდა N1 საბავშვო ბაღი რამაც განახლებული და კომფორტული გარემო უზრუნველყო ბაღის 150 აღსაზრდელისთვის. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 86 176 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ განახორციელა პროექტის თანადაფინანსება, ხოლო ქეა საერთაშორისომ (CARE International) დააფინანსა საბავშვო ბაღისთვის ახლი ავეჯის და აღჭურვილობის შეძენა.